ბრძანება:**ბ16. 37223152**

თარიღი:**11/11/2022**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებულ ვაკანტურ თანამდებობებზე კანდიდატების შერჩევის მიზნით ღია კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად შექმნილი საკონკურსო კომისიის წევრთა რაოდენობისა და შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის პირველი პუნქტის, „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N204 დადგენილების მე-15 მუხლის და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებულ ვაკანტურ თანამდებობებზე კანდიდატების შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნისა და კომისიის თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ნოემბერი Nბ37. 3722315001 ბრძანების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებული - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საინფორმაციო ანალიტიკური და ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების, მე-3 რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის საჯარო ინფორმაციის დამუშავების საკითხებში, ვაკანტურ თანამდებობებზე კანდიდატების შერჩევის მიზნით ღია კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად შექმნილი საკონკურსო კომისიის წევრთა რაოდენობა და შემადგენლობა განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) ავთანდილ გოლიაძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნო განყოფილების უფროსი) კომისიის წევრი;

ბ) კახაბერ ლომაძე - სტუდენტურ ახალგაზრდული სათათბიროს პროგრამების კორდინატორი - კომისიის წევრი;

გ) ცირა მდინარაძე - მე-3 რანგის 2-კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში (მოვალეობის შემსრულებელი)- კომისიის წევრი;

დ) ნათელა ზედგინიძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საინფორმაციო-ანალიტიკური და ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის - II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი)კომისიის წევრი ;

2. კონკურსის ჩატარების წესი და პირობები, აგრეთვე საკონკურსო

კომისიის საქმიანობის დეტალური წესი განისაზღვრება „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N204 დადგენილებით;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

4. ბრძანება ძალაშია მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

ნანა თავდუმაძე

საკონკურსო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი